PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

წევრები:

იაზონ დანელია (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

ირაკლი მანველიძე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

2020 წლის 12 ივნისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ იქნა განაცხადი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები “ დამატების შესახებ, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N508525 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების დათვალიერება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება.
ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულებას აქვს კორპორაცია „red het“-ის სასწავლო რესურსებთან წვდომა და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ რედჰეთის სასწავლო რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც კარგი შესაძლებლობაა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღონ მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის განათლება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების სფეროში.
დაწესებულებაში არსებობს Fortinet -ის ქსელური უსაფრთხოების აკადემია და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მისი სასწავლო რესურსებით.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია:
პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსების ნაწილში გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ზოგადი ჩანაწერის ნაცვლად კონკრეტული ავტორები და სახელწოდებები მიეთითოს, ისე როგორც მოდულის ეს სხვა სახელმძღვანელოებზე აქვთ მითითებული.
დაწესებულების თქმით, მოდულებში იყო ტექნიკური უზუსტობა, რომელიც გასწორებულია. უკვე ჩაშალეს ყველა ლიტერატურა და დააკონკრეტეს.
წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია:
გასწორდეს მოდულში ჩანაწერი განხორციელების ადგილის შესახებ.
დაწესებულების განმარტებით გაპარული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, რომელიც უკვე გასწორებულია.
წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია:
სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში;
დაწესებულების განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია.
წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.

დაწესებულების განმარტებით, რეგულაციაში გაწერილია ვინ, რა ფორმით, რა ვადაში მოახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.

წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო B ტიპის გარემო განთავსდეს შენობის პირველ სართულზე.

დაწესებულების განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი გარემოს განთავსებას შენობის პირველ სართულზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

განვითარების რეკომენდაცია

1. დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო და იქვე განსაზღვრავს პროგრამის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში დადგენილების არარად ჩათვლის პირობას. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით, თუმცა დადგენილება არ მოიცავდა ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში არარად ჩათვლის პირობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იქნება უარყოფითი, მხოლოდ მაშინ გამოიცემა დადგენილება შესაბამისი პროგრამის გაუქმების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციაში აღნიშნული ჩანაწერი ამ ინფორმაციის მატარებელი არ არის, სასურველია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ან დადგენილება მოვიდეს შესაბამისობაში შემუშავებულ რეგულაციასთან.

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- ქართული ენის მოდულებში გაპარულია რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რადგან ჩარჩენილია სიტყვები „სარეკომენდაციო“, „მინიმალური“. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

განვითარების რეკომენდაცია

3. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს ხელშეკრულებაში მითითებული აქვთ მათ მიერ განსახორციელებელი მოდულები, განსხვავებით პროფესიული მოდულების განმახორციელებლებისგან. გაფორმებულ წინამდებარე ხელშეკრულებებში სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია მოდულის სახელწოდებებთან. მაგალითად, მოდულის სახელწოდებაა „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ბიოლოგია, ხოლო განმახორციელებელ პირს ხელშეკრულებაში მითითებული აქვს „მეცნიერება (ბიოლოგია)“. ასევე, სასურველია პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელთა მსგავსად ხელშეკრულებაში მიეთითოს, თუ რომელი მოდულების განმახორციელებლებად მოიაზრებიან.

7. დაწესებულებას საპროგნოზო ბიუჯეტში მითითებული აქვს პროგრამის სწავლის საფასური/ოდენობა, თუმცა შემოსავლების სახეობაში არ უთითებს, თუ რა სახის შემოსავალს/დაფინანსებას იღებს. დაწესებულებას ხარჯების ნაწილში გაწერილი აქვს მხოლოდ მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეულის, ინვენტარის ხარჯი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გაწეროს შემოსავლების სახეობა და ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის განხორციელებასთან.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

განვითარების რეკომენდაცია

2. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. კერძოდ: საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, სასურველია, მან მიმართოს ცენტრს.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

განვითარების რეკომენდაცია

1. დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან ერთი კვირის განმავლობაში. პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განსაზღვრული სწავლის შედეგების დამატებით მიღწევის შესაძლებლობა სტუდენტს ეძლევა ერთხელ. თუ გავითვალისწინებთ, რომ განმეორებითი შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სწავლის შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში, ხოლო ინფორმირება გათვალისწინებულია ერთი კვირის ვადაში, საინტერესოა ერთი კვირის ინტერვალის გათვალისწინებით, როგორ ტარდება განმეორებითი შეფასება. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ მასწავლებელი შეფასებიდან 3 დღეში აცნობს პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია რეგულაციებში გასწორდეს შეუსაბამობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსულია გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებით და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა. საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც ვალდებულია განიხილოს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის შემოტანიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში. სასურველია დაკონკრეტდეს, რა იგულისმება შემდეგ ჩანაწერში „გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან“, დაკონკრეტდეს რამდენ დღეში იქმნება სააპელაციო კომისია, თუ საჩივარი უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს კომისიამ შემოტანიდან 5 სამუშაო დღეში, რამდენი დღე ეძლევა განსახილველად. ასევე, სასურველია მოდულებს შორის ინტერვალი დარეგულირდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასების ჩატარება, ან რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ერთკვირიან ინტერვალში განმეორებითი შეფასების განხორციელება.

5. სასურველია მემორანდუმში მითითებული იყოს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, ასევე მოდული, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც ორგანიზაცია იღებს თავის თავზე და გაწეროს მოდულის განხორციელების მიზნებისთვის შესაბამისი ინვენტარი, აღჭურვილობის ჩამონათვალი.

შესაბამისობის რეკომენდაცია

6. უსაფრთხო სასწავლო გარემოში, სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით ქიმიის ლაბორატორიაში სასურველია განთავსდეს ცეცხლმაქრი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.4.2 კომპონენტი დაწესებულების მიერ მეტწილად არის შეფასებული, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების რეგულაცია და ვერიფიკაციის მექანიზმები არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, არეულია ვალიდაციის და ვერიფიკაციის პროცესები, არ იკვეთება არის თუ არა შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ამ მიზნით წარმოდგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული შოთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცებისა და აღნიშნული პროგრამების განხორციელების შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის გეგმები. გაწერილია იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი და შესაბამისობის ტიპი, აქტივობის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და სხვა.

სასურველია შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის გამო შევიდეს რეგულაციაში ცვლილებები.

სასურველია ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს როგორ იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, ვინ ამტკიცებს, ვინ შედის, როგორ განისაზღვრება შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობა, არსებული რესურსი და სხვადასხვა რისკ-ფაქტორები. მნიშვნელოვანია შემუშავდეს რისკების რეესტრი, რის საფუძველზეც მოხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს. ასევე, სასურველია რეგულაციით მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირები, არ მოახდენენ იმავე ინსტრუმენტებით შექმნილ მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სასურველია დასრულდეს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით.

მნიშვნელოვანია, რომ შედეგები გამოყენებული იყოს შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სენაკი, მშვიდობის ქ.#192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Erase Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი (მოდულური) სენაკი, მშვიდობის ქ.#192
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20 პროფესიული სტუდენტი (მოდულური) სენაკი, მშვიდობის ქ.#192
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების გადაწყვეტილება კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება უსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. უნივერსიტეტის მისიაა ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემო და ორიენტირებულია მოამზადოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრი. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიზანს კი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (აკადემიური და პროფესიული).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მილევად რეჟიმში განხორციელების გამო, მნიშვნელოვანი იყო „საგნობრივი პროგრამები“ ჩანაცვლებულიყო ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა, ადამიანური რესურსი და ფინანსები. ასევე, პრიორიტეტად უნდა დარჩენილიყო იმავე მიმართულების პროგრამები, რომლებსაც უნივერსიტეტი წლების განმავლობაში ახორციელებდა. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტმა საპილოტედ დუალური მიდგომით განახორციელა ისეთი პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებული იყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პრიორიტეტად დაისახა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირება. აკადემიური საბჭოს მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამატება და სავარაუდო ოპტიმალურ და გონივრულ ვადად განსაზღვრა 2019-2020 წელი. 2019 წლის 11 იანვრის აკადემიური საბჭოს N2 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამატების მიზნით სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა ადაპტირებული პროგრამა წარუდგინა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რათა მას დაედგინა მისი შესაბამისობა არსებულ სტანდარტებთან და საჭიროების შემთხვევაში გაეწია რეკომენდაცია. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემდგომში წარედგინა აკადემიურ საბჭოს.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საბაზო ზოგადი განათლება.

3. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის მიზნით წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიით ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში მისაღები სტუდენტის კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრა ხდება შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნების ანალიზის, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადმინისტრაციული/დამხმარე, აკადემიური პერსონალის, აფილირებული პროფესორის, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობის, ფინანსური რესურსების, კურსდამრთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების, მიმდინარე სასწავლო წლისთვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის ობიექტის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულებით ირკვევა, რომ აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ფაკულტეტის/პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის წარდგინებით დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები/მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები/კურსები. ასევე, დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო და იქვე განსაზღვრავს პროგრამის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში დადგენილების არარად ჩათვლის პირობას. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით, თუმცა დადგენილება არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მოიცავდა ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში არარად ჩათვლის პირობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იქნება უარყოფითი, მხოლოდ მაშინ გამოიცემა დადგენილება შესაბამისი პროგრამის გაუქმების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციაში აღნიშნული ჩანაწერი ამ ინფორმაციის მატარებელი არ არის, სასურველია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ან დადგენილება მოვიდეს შესაბამისობაში შემუშავებულ რეგულაციასთან.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი თანხვედრაშია პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დასახელება ასევე არაა შეცდომაში შემყვანი, რადგან პროგრამის სახელწოდება შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ინფორმაციის ტექნოლოგიის კონცენტრაციის დასახელებას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.

8. უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology“ (06112-პ) საფუძველზე. ასევე, კომპიუტერული ქსელი და სისტემების საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატებით შემუშავების საფუძველია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს და სასწავლო გეგმას, ასევე ინტეგრირებული პროგრამისთვის სასწავლო გეგმას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების პირობა.

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- პროგრამა მოიცავდა უცხოური ენის მოდულს სარეგისტრაციო ნომრით (0230101). ჩარჩო დოკუმენტით პროგრამა უნდა მოიცავდეს უცხოური ენის მოდულს სარეგისტრაციო ნომრით (0230102). დაწესებულების მისამართით გაიცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

რეკომენდაცია, რომ საშუალო დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაედოთ შესაბამისი დონის მოდული. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ცვლილება შეიტანა პროგრამაში აკადემიური საბჭოს N43 დადგენილებით (დანართი 2).

- დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავდა ინფორმაციას მატერიალურ რესურსებზე და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, მათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს დაურთეს მატერიალურ რესურსებსა და მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია და დამატებით პროგრამით აღარ დაამტკიცეს. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, მიზანშეწონილი იყო პროგრამას დანართებად გაწერილი ჰქონოდა ინფორმაცია მატერიალურ რესურსებზე და მოდულთა განმახორციელებლებზე. დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და პროგრამაში ცვლილება შეიტანა აკადემიური საბჭოს N43 დადგენილებით.
- ქართული ენის მოდულებში გაპარულია რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რადგან ჩარჩენილია სიტყვები „სარეკომენდაციო“, „მინიმალური“.

სასურველია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის მისიით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით (2018-2024);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესით;
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებით;
- აკადემიური საბჭოს დადგენილებებით;
- ჩარჩო დოკუმენტით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.
ინტეგრირებული მოდულებისთვის დაწესებულებას აქვს ცალკე A გარემო, რომელიც გამოყენებული იქნება სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. მათგან ერთი პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებას უკვე აქვს მოპოვებული, ხოლო ორი - მოპოვების პროცესშია. ინტეგრირებული მოდულები თითქმის სრულად განხორციელდება მისთვის გამოყოფილ ერთ A გარემოში, ხოლო ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ქიმიის კომპონენტისთვის დაწესებულებას აქვს ცალკე ქიმიის ლაბორატორია. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება კვირაში AB გარემოს დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 28-30 საათს (პროფესიული და ზოგადი მოდულებისთვის), ხოლო კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება იმავე AB გარემოს დატვირთვა პროფესიული მოდულებისთვის მერყეობს 11-20 საათს შორის, სასწავლო წლების და სასწავლო კვირების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელთა თქმით, უნივერსიტეტი მუშაობს 9 საათიდან 18 საათამდე. შაბათი დღე არის სასწავლო დღე. შესაბამისად, უნივერსიტეტში შაბათი დღის გათვალისწინებით ერთ სასწავლო გარემოს გამტარიანობაა მაქსიმუმ 54 საათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

სასწავლო გარემოში არის პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი 20 კომპიუტერი, 1 კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 2 ლეპტოპი პროფესიული მასწავლებლისთვის, 1 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 პროექტორი, 1 დაფა.
ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ექსპერტთა შეფასებით პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით და პროგრამის დასრულებამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდეს მიღების უფლება.

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, ექსპერტთა შეფასებით პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს ასევე 20 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულებას მხოლოდ ერთხელ უნდა ჰქონდეს მიღების უფლება პროგრამის დასრულებამდე.

აღნიშნული ზღვრული რაოდენობა გამომდინარეობს სასწავლო ფართის AB გარემოს გამტარიანობიდან, რადგან დაწესებულებას ამ პროგრამის განსახორციელებლად აქვს მხოლოდ ერთი კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო სასწავლო გეგმებით ირკვევა, რომ სრული ზოგადი განათლებით მოსული პირებისთვის კვირეული დატვირთვა არის დაახლოებით 30 საათი (პროფესიული მოდულებისთვის), ხოლო საბაზო ზოგადი განათლებით მოსული პირებისთვის იმავე AB გარემოს სჭირდება დაახლოებით 11-20 საათი.

დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს „ვისტა2010“. გაფორმებული მემორანდუმი არ მოიცავს ინფორმაციას, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს დაწესებულება, თუმცა პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აუცილებელი არაა რომელიმე მოდულის პრაქტიკის ობიექტზე განხორციელება. შესაძლებელია მემორანდუმით გათვალისწინებული იყოს მხოლოდ სასწავლო ექსკურსიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ინტეგრირებული მოდულებისთვის გათვალისწინებულია 5 პირი, ხოლო ზოგადი და პროფესიული მოდულებისთვის დაწესებულებას 8 განმახორციელებელი პირი ჰყავს. მათგან ერთი არის ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელიც.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილებით წარმომადგენლობით საბჭოს მიერ დამტკიცებულია უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ მასწავლებლის საშტატო ერთეულზე შეიძლება მოწვეულ იქნეს პირი ზეპირი გასაუბრების ან კონკურსის წესით. მოწვეული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია უმაღლესი აკადემიური განათლება ან/და IV და V დონესთან გათანაბრებული პროფესიული განათლება ან/და შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით და არ ხდება მისი დაოქმება. მასწავლებელთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება პირის სამუშაო გამოცდილება. შერჩეულ მოდულის განმახორციელებელთა მოწვევა ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამავე წესით განსაზღვრულია მასწავლებელთა ფუნქცია-მოვალეობები. მასწავლებელი ვალდებულია მოდულის დაწყებამდე შეადგინოს კალენდარული გეგმა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები შედეგების დადასტურებამდე არაუგვიანეს 10 დღისა და ვალიდურობის დადგენის მიზნით შეათანხმოს დარგის სპეციალისტთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან, შეფასებებზე ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებს არაუგვიანეს შეფასებამდე 3 დღისა და შეფასებიდან 3 დღეში გააცნოს მიღებული შედეგები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესით ირკვევა, რომ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პერსონალი აუცილებლად უნდა შეირჩეს კონკურსის წესით. ამ მიზნით, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით სწავლების განსახორციელებლად ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლების კონკურსით მიღების წესი. კონკურსის მიზანია ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად:

- პირველი ეტაპი - კონკურსანტის შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით;
- მეორე ეტაპი - გასაუბრება.

წარმოდგენილია ოქმები, ასევე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც კომისიის მიერ რეკომენდაცია გაეწიათ შერჩეულ პირებს დაიკავონ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლის თანამდებობები. შერჩეულმა პირებმა დამატებით გაიარეს ტრენინგები.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რომლებსაც ეწოდებათ „დასაქმების კანდიდატები“ გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულებები, რომლითაც ირკვევა, რომ კანონდებლობის ფარგლებში დაწესებულება გაუფორმებს შრომით ხელშეკრულებას პროგრამის ავტორიზაციის შემთხვევაში. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს ხელშეკრულებაში მითითებული აქვთ მათ მიერ განსახორციელებელი მოდულები, განსხვავებით პროფესიული მოდულების განმახორციელებლებისგან. გაფორმებულ წინამდებარე ხელშეკრულებებში სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია მოდულის სახელწოდებებთან. მაგალითად, მოდულის სახელწოდებაა „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ბიოლოგია, ხოლო განამხორციელებელ პირს ხელშეკრულებაში მითითებული აქვს „მეცნიერება (ბიოლოგია)“ (დანართი 3). ასევე, სასურველია პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელთა მსგავსად ხელშეკრულებაში მიეთითოს, თუ რომელი მოდულების განმახორციელებლებად მოიაზრებიან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია (N01/04.01.2018) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიღება/მოწვევა ხდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე და ფორმდება ადმინისტრაციული აქტით. ხელმძღვანელად შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების წესით უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით. გასაუბრებას ატარებს რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებია: მონაწილეობა მიიღოს პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შემუშავებაში/მომზადებაში საავტორიზაციოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის მიზნით; განახორციელოს პროგრამის ფარგლებში მოდულების განმახორციელებელი პირების კონსულტაცია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების დროული შემუშავების მიზნით; მიიღოს მონაწილეობა შეფასების სისტემის (შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, უწყისები) ვერიფიკაციის პროცესში; იქონიოს მოდულების განმახორციელებლებთან პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით; გაუწიოს მონიტორინგი პრაქტიკის პროცესს, წარადგინოს რეკომენდაცია პროგრამის გაუმჯობესების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ასევე, დაწესებულების ვებგვერდზე ინტეგრირებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი openbiblio. ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები და ყველა აღმოჩნდა ადგილზე.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმენა ერთი სტუდენტისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შემუშავება/დამტკიცებაში ჩართულია უწყვეტი განათლების ცენტრი, დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო/პროფესიული განათლების განვითარების სამსახური. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- ინფორმაციის შეგროვება;
- მიმართულების განსაზღვრა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადაფასება) და საჭიროებისამებრ განახლება.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვათა შესახებ ინფორმაციას წერილობით აცნობებს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს.
დაწესებულების თქმით, თუ ეყოლებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი გარემოს განთავსებას შენობის პირველ სართულზე.

7. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით ირკვევა, რომ რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას 6 პროფესიულ სტუდენტზე მითითებული აქვს პროგრამის სწავლის საფასური/ოდენობა, თუმცა შემოსავლების სახეობაში არ მიუთითებს, რომ ეს არის ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას ხარჯების ნაწილში გაწერილი აქვს მხოლოდ მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა, ნედლეული, ინვენტარის ხარჯი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გაწეროს შემოსავლების სახეობა, ასევე ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის განხორციელებასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

- პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესით;
- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით სწავლების განსახორციელებლად ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლების კონკურსით მიღების წესით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. ასევე აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების, სტუდენტის შეფასების სისტემის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ბიბლიოთეკის და სხვა აქტივობების თვითშეფასების, შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის პროცედურებს. შეფასება გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

- კითხვარის მომზადება/კითხვარების პილოტირება;
- კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიუირების) ჩატარება (შეფასებების შეგროვება);
- კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიუირების) შედეგად მიღებული მასალის (ინფორმაციის დამუშავება);
- კვლევის/გამოკითხვის/ინტერვიუირების შედეგების ანალიზის შედეგად დასკვნების შედგენა;
- რეკომენდაციის მომზადება და შესაბამისი გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელება.

კვლევის რესპოდენტი შეიძლება იყოს: სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, შტატგარეშე მომსახურე პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული პირები. სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისთვის კვლევას ახორციელებენ რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზით. შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე პროგრამების შეფასების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს ,,პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი", რომლის მიზანია უნივერსიტეტმა შეძლოს არსებული მდგომარეობის (მათ შორის საგანმანათლებლლო პროგრამების) სწორი შეფასება/ანალიზი. ეს ხორციელდება როგორც ელექტრონული გამოკითხვებით, ასევე ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვებითა და ინტერვიუირებით.

დაწესებულების წარმომადგენელთა თქმით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა დისტანციური სწავლებისთვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა საწყის ეტაპზე სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევას. ჩატარებული კვლევების შედეგად ფიქსირდება 70%-იანი მზაობა დისტანციური სწავლების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ჩართვის შესახებ.

2. უნივერსიტეტის მიერ მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად ცვლილებების განხორციელება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, მოდულის განმახორციელებლების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. კერძოდ: საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, სასურველია, მან მიმართოს ცენტრს.

დაწესებულების მიერ მეორე სტანდარტის მესამე კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად. მათი განმარტებით, აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ არ აქვთ შემუშავებული ანგარიშები, რომლებიც პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით უნდა ჰქონდეთ შემუშავებული. კითხვაზე, აქვთ თუ არა სხვა, უკვე განხორციელებული პროგრამებისთვის, შემუშავებული ანგარიშები, პასუხი იყო „დიახ“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ახლა იმატებს კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმაანთლებლო პროგრამას, ამ პროგრამის განხორციელების შეფასების ანგარიში შემუშავებული ვერ ექნება. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ 2.3 კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისობად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგიით;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმები. სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 64 სასწავლო კვირა (ორი წელი), ხოლო საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს 3 წელს (106 სასწავლო კვირა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ამას გარდა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 24 სასწავლო კვირა მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ სწავლებისთვის. პროგრამა ითვალისწინებს წინაპირობიან მოდულებს და წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის გათვალისწინებულია ერთკვირიანი ინტერვალი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესით ირკვევა, რომ როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან ერთი კვირის განმავლობაში. პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განსაზღვრული სწავლის შედეგების დამატებით მიღწევის შესაძლებლობა სტუდენტს ეძლევა ერთხელ. თუ გავითვალისწინებთ, რომ განმეორებითი შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სწავლის შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში, ხოლო ინფორმირება გათვალისწინებულია ერთი კვირის ვადაში, საინტერესოა ერთი კვირის ინტერვალის გათვალისწინებით, როგორ ტარდება განმეორებითი შეფასება. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ მასწავლებელი შეფასებიდან 3 დღეში აცნობს პროფესიულ სტუდენტს შედეგებს. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციებში გასწორდეს შეუსაბამობები.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსულია გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებით და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა. საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც ვალდებულია განიხილოს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის შემოტანიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში. სასურველია დაკონკრეტდეს, რა იგულისმება შემდეგ ჩანაწერში „გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან“, დაკონკრეტდეს რამდენ დღეში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

იქმნება სააპელაციო კომისია; თუ საჩივარი უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს კომისიამ შემოტანიდან 5 სამუშაო დღეში, რამდენი დღე ეძლევა განსახილველად. ასევე, სასურველია მოდულებს შორის ინტერვალი დარეგულირდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასების ჩატარება, ან რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ერთკვირიან ინტერვალში განმეორებითი შეფასების განხორციელება.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. უნივერსიტეტში პერიოდულად განხორციელდება გამოკითხვები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მოხდება შემდგომი პროცესების დაგეგმვა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს. დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ის შემთხვევები (მობილობა/შიდა მობილობა, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა და სხვა), როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება ამ დრომდე არ ჰქონიათ.

5. თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან შპს „ვისტა2010“ დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, რომელიც ძალაშია 5 წლის განმავლობაში. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განახლებადი ხელშეკრულებით, თუმცა პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აუცილებელი არაა რომელიმე მოდულის პრაქტიკის ობიექტზე განხორციელება. შესაძლებელია მემორანდუმით გათვალისწინებული იყოს მხოლოდ სასწავლო ექსკურსიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ამასთან, მემორანდუმების გაფორმებისას, სასურველია მასში მითითებული იყოს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, ასევე მოდული, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც ორგანიზაცია იღებს თავის თავზე და გაწერილი იყოს მოდულის განხორციელების მიზნებისთვის შესაბამისი ინვენტარი, აღჭურვილობის ჩამონათვალი.

6. სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება უზრუნველყოს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით საკუთარ მფლობელობაში არსებულ ფართზე. სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვის მიზნით ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა. ლაბორატორიას აქვს სველი წერტილი და პრეპარატების შესანახად განთავსებულია სპეციალური კარადა. ლაბორატორიაში კედელზე გამოკრულია ლაბორატორიაში ქცევის წესები. უსაფრთხო სასწავლო გარემოში, სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით ქიმიის ლაბორატორიაში სასურველია განთავსდეს ცეცხლმაქრი.
პრაქტიკის ობიექტზე შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებების აღიცხვასა და შენახვას. მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება. მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2.4.2 კომპონენტი დაწესებულების მიერ არის მეტწილად შეფასებული. ამ მიზნით წარმოდგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილი ცვლილებებით დამტკიცებისა და აღნიშნული პროგრამების განხორციელების შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის გეგმები. გაწერილია იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი და შესაბამისობის ტიპი, აქტივობის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და სხვა (დანართი 4). დაწესებულების მიერ, აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია მეტწილად გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების რეგულაცია და ვერიფიკაციის მექანიზმები არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, არეულია ვალიდაციის და ვერიფიკაციის პროცესები, არ იკვეთება არის თუ არა შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

სასურველია შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის გამო შევიდეს რეგულაციაში ცვლილებები.

სასურველია ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს როგორ იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, ვინ ამტკიცებს, ვინ შედის, როგორ განისაზღვრება შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობა, არსებული რესურსი და სხვადასხვა რისკ-ფაქტორები. მნიშვნელოვანია შემუშავდეს რისკების რეესტრი, რის საფუძველზეც მოხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს. ასევე, სასურველია რეგულაციით მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირები, არ მოახდენენ იმავე ინსტრუმენტებით შექმნილ მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სასურველია დასრულდეს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით. მნიშვნელოვანია, რომ შედეგები გამოყენებული იყოს შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისობის გეგმებით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი სენაკი, მშვიდობის ქ.#192 მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასაბუთება

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ინტეგრირებული მოდულებისთვის დაწესებულებას აქვს ცალკე A გარემო, რომელიც გამოყენებული იქნება სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. მათგან ერთი პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებას უკვე აქვს მოპოვებული, ხოლო ორი - მოპოვების პროცესშია. ინტეგრირებული მოდულები თითქმის სრულად განხორციელდება მისთვის გამოყოფილ ერთ A გარემოში, ხოლო ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ქიმიის კომპონენტისთვის დაწესებულებას აქვს ცალკე ქიმიის ლაბორატორია. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება კვირაში AB გარემოს დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 28-30 საათს (პროფესიული და ზოგადი მოდულებისთვის), ხოლო კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება იმავე AB გარემოს დატვირთვა პროფესიული მოდულებისთვის მერყეობს 11-20 საათს შორის, სასწავლო წლების და სასწავლო კვირების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელთა თქმით, უნივერსიტეტი მუშაობს 9 საათიდან 18 საათამდე. შაბათი დღე არის სასწავლო დღე. შესაბამისად, უნივერსიტეტში შაბათი დღის გათვალისწინებით ერთ სასწავლო გარემოს გამტარიანობაა მაქსიმუმ 54 საათი.

სასწავლო გარემოში არის პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი 20 კომპიუტერი, 1 კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, 2 ლეპტოპი პროფესიული მასწავლებლისთვის, 1 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 პროექტორი, 1 დაფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ექსპერტთა შეფასებით პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით და პროგრამის დასრულებამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდეთ მიღების უფლება.

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, ექსპერტთა შეფასებით პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს ასევე 20 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულებას მხოლოდ ერთხელ უნდა ჰქონდეს მიღების უფლება პროგრამის დასრულებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

აღნიშნული ზღვრული რაოდენობა გამომდინარეობს სასწავლო ფართის AB გარემოს გამტარიანობიდან, რადგან დაწესებულებას ამ პროგრამის განსახორციელებლად აქვს მხოლოდ ერთი კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო სასწავლო გეგმებით ირკვევა, რომ სრული ზოგადი განათლებით მოსული პირებისთვის კვირეული დატვირთვა არის დაახლოებით 30 საათი (პროფესიული მოდულებისთვის), ხოლო საბაზო ზოგადი განათლებით მოსული პირებისთვის იმავე AB გარემოს სჭირდება დაახლოებით 11-20 საათი.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. აკადემიური საბჭოს დადგენილება
დანართი 3. ხელშეკრულებები
დანართი 4. გაუმჯობესების გეგმები

24.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---